კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, (ს/კ 01.72.14.002.024), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო ობიექტი განიხილება როგორც ორი 22 სართულიანი შენობა თითო მიწისქვეშა დონით (ავტოსადგომი) და კონსტრუქციულად დამოუკიდებელი 1-2 სართულიანი მიშენებებით. 22 სართულიანი შენობების ქვაბულის ძირის აბსოლუტური ნიშნული არის 455,7. საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზები. შენობა-ნაგებობები ფიქსირდება მხოლოდ დასავლეთიდან.

ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.10.07.003.011 და მისამართით ქ. თბილისი, სოფ. ზურგოვანა, ასი ათასი მოწმის ქუჩა №16, განლაგებულია მშენებარე 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფის გარეშე. შენობა წარმოდგენილია თიხა-თიხნაროვან გრუნტებზე დაფუძნებული მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი საძირკვლის ფილით და კარკასულ-ჩარჩოვანი კონსტრუქციებით. საძირკვლის ფილის ძირის აბსოლუტური ნიშნულია 462,4 და საპროექტო შენობამდე მინიმალური დაცილება შეადგენს 11,0 მეტრს.

ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.10.06.002.035 და მისამართით - დასახლება დიდი დიღომის მიმდებარედ, განლაგებულია ახალი აშენებული 5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფის გარეშე. შენობა კარკასულ-ჩარჩოვანია. საძირკვლები – წირტილოვანი, რომლებიც დაფუძნებულია მყარ თიხებზე. საძირკვლების ძირის აბსოლუტური ნიშნულია 458,5 და საპროექტო შენობამდე მინიმალური დაცილება შეადგენს 7.0 მეტრს.

ორივე ზემოთ ჩამოთვლილი მომიჯნავე შენობის მიმართ განიხილება სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები. ნორმების ეს პუნქტი ასახავს

მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს. ჩვენს მიერ წარმოებული გაანგარიშებებით დადგინდა, რომ აღნიშნული ნორმების მიმართ შენობების განლაგების გეომეტრიული პარამეტრები და დატვირთვები მისაღები მოთხოვნების ზღვარზეა და რეკომენდებულია მითითებულ ლოკაციებთან საექსკავაციო ქვაბულის წინასწარი გამაგრება.

რაც შეეხება 22 სართულიან საპროექტო შენობებს, მათი დაფუძნება ხდება ძირითად ქანებზე ბურღვით-ნატეხი ხიმინჯების გამოყენებით, რაც გამორიცხავს მათ გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობის მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

დასკვნა:

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და რეკომენდებული გამაგრებების გათვალისწინებით, მომიჯნავე ტერიტორიებზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მდგრადობა და უსაფრთხოება დაცული იქნება როგორც მშენებლობის წარმოებისას, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტმდ,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია



თბილისი 12-06-2025